**სატენდერო ცნობა:** გერმანიის ფინანსური თანამშრომლობა (KfW) EU-NIP-თან და FC გრანტებთან თანამშრომლობით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით. **KfW შესყიდვები-No. 509531**

სახელწოდება: სამუშოებისა და საქონლის შესყიდვა აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამისთვის, აჭარა, საქართველო

| | |
|---|---|
| ქვეყანა | საქართველოს რესპუბლიკა |
| პროექტის აღმასრულებელი სააგენტოს სახელი და მისამართი | **პროექტის ოფიცერი:** თეიმურაზ ბედინაძე, სს "აჭარის წყლის ალიანსი" (AWA)<br>**მისამართი:** კონსტანტინე გამსახურდიას ქიჩა #1, ბინა 4-7<br>**მისამართი:** ბათუმი, ZIP კოდი: 6000<br>**ქვეყანა:** საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა<br>**ტელეფონი:** +995 591511115<br>**ელექტრონული ფორტის მისამართი:** info@awa.ge |
| განაცხადის წარდგენის ვადა | **ვადა:** 30.05.2023<br>**დრო:** 12.00 (GMT +4 სთ)<br>**მისამართი:** ზემოაღნიშნული<br>**ენა:** ინგლისური<br><br>აპლიკანტებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები და სატენდერო განაცხადები უნდა წარმოადგინონ შემდეგნაირად:<br><br>• ერთი (1) ორიგინალი და ერთი (1) ასლი<br><br>ორიგინალიც და ასლიც, ორივე, უნდა შეიცავდეს ელექტრონულ ვერსიას (USB ბარათზე), არარედაქტირებადი და ძიებადი PDF დოკუმენტის სახით მეხსიერების ბარათზე, შესაბამისად მონიშნულს. |
| პროექტის სახელწოდება | სამუშაოებისა და საქონლის შესყიდვა აჭარის სოფლებისა და დაბების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტისთვის, აჭარა, საქართველოს რესპუბლიკა |
| ლოტის სახელწიდება | ლოტი 2 - სამუშაოებისა და საქონლის შესყიდვა აჭარის სოფლებისა და დაბების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტისთვის, აჭარა, საქართველოს რესპუბლიკა |
| KfW ბანკის შესყიდვის ნომერი | ICB 509531 |
| ცნობის ტიპი და ტენდერის ეტაპი | სატენდერო ცნობა. მოწვევა ერთეტაპიან სატენდერო პროცედურაზე (პოსტკვალიფიკაცია). |
| საპროექტო ღონისძებები | სამუშაოების კონტრაქტორებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ აჭარის სოფლების ხუთი მუნიციპალიტეტისთვის |

| | |
|---|---|
| | გამოცხადებული სამუშაოების ტენდერის სამი ლოტიდან („მხოლოდ სამშენებლო“ კონტრაქტი) ერთში ან რამდენიმეში. სამუშაოები ძირითადად გულისხმობს წყლისა და წყალარინების მილების და მცირე მიწისქვეშა ავზების (წნევის შემზღუდველი ავზები/ რეზერვუარები წყლისთვის, წყალარინების სეპტიკური ავზები) ნიადაგში ჩამარხვის უზრუნველყოფას. სამუშაოები დაყოფილია სამ ლოტად (2A, 2B და 2C) მსგავსი მახასიათებლებით, გარდა მოსამსახურე ობიექტების რაოდენობის, მილების სიგრძისა და დასამონტაჟებელი ობიექტების რაოდენობისა. საპროექტო ტერიტორია უპირატესად მთაგორიანია, გაფანტული დასახლებით, რაც წარმოადგენს პროექტირების განსაკუთრებულ გამოწვევას და ზოგადად მაღალი ეკოლოგიური ღირებულების მქონეა (ანუ ხელუხლებელი ტყე/ლანდშაფტი მაღალი ბიომრავალფეროვნებით). |

| | |
|---|---|
| გუნდის პროფილი | რელიეფის მიუხედავად, საჭირო სამუშაოების კონტრაქტორ(ებ)ის სამუშაოს სპეციფიკა არ საჭიროებს სპეციალურ სამონტაჟო უნარ-ჩვევებს, მაგალითად, ურბანულ ზონაში წყლისა და სანიტარული ინფრასტრუქტურის დამონტაჟებაში გამოცდილ კონტრაქტორს. თუმცა, პროექტის გარემოზე და საზოგადოებაზე ზემოქმედებისა და რისკების დონე ექცევა B კატეგორიაში, რაც ნიშნავს, რომ განმცხადებლებს მოეთხოვებათ გარემოსდაცვითი სოციალური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (ESHS) შესაძლებლობებისა და გამოცდილების განსაზღვრული დონის დემონსტრირება. ESHS მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამუშაოების კონტრაქტორ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ გამოცდილება წინა პროექტებიდან, მაღალი ESHS მოთხოვნებით. |
| ხანგრძლივობა | პროექტის პერიოდი სამივე ლოტისთვის შესდგება შემდეგისგან:<br>• სამშენებლო პერიოდი: 27 თვე (823 დღე), ზამთრის შესვენებების ჩათვლით;<br>• წუნის შეტყობინების პერიოდი: 12 თვე (365 დღე); |
| შესყიდვა და კონტრაქტი | თითოეული ლოტისთვის გაფორმდება FIDIC ვარდისფერი წიგნის კონტრაქტი.<br><br>შესყიდვა მიჰყვება KfW-ის შესყიდვების სახელმძღვანელო მითითებებს ერთეტაპიანი ტენდერისთვის. გამოცდილი კონტრაქტორების შერჩევა ექვემდებარება რეგულაციებს, რომლებიც მოცემულია „პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობით საკონსულტაციო მომსახურების, სამუშაოების, ნაგებობების საქონლისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის სახელმძღვანელოში“და ხელმისაწვდომია მისამართზე:<br><br>https://www.kfw-entwicklungsbank.de/International-financing/KfW-Development-Bank/Service/Procurement- |

| | |
|---|---|
| | Regulations/<br><br>ერთეტაპიანი ტენდერი გაიმართება ორი კონვერტის ფორმარტში. პირველი კონვერტი უნდა შეიცავდეს კომპანიის საკვალიფიკაციო დოკუმენტაციას, ასევე ტექნიკურ სატენდერო წინადადებას და ყველა შესაბამის დოკუმენტს და დეკლარაციას (ITB 11.1 (a) შესაბამისად).მეორე კონვერტი შეიცავს ფინანსურ წინადადებას (ITB 11.1 (b)-ის მიხედვით). ფინანსური წინადადებები გაიხსნება მხოლოდ იმ კომპანიების შემთხვევაში, რომლებიც კვალიფიცირდებიან თავსებადობის კრიტერიუმების მიხედვით და წარმატებით გაივლიან ტექნიკურ შეფასებას. |